ხელშეკრულება N2023/01/11
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 7 მარტი 2023 წ.

ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში ,,შემსყიდველად“ წოდებული) წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის ლანა ჯიბლაძის სახით და მეორე მხრივ შპს „4 მედია“ (შემდგომში ,,მიმწოდებლად'' წოდებული) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კენჭუაშვილის სახით, (ორივე ერთად ,,მხარეებად“ წოდებული) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა და 2023 წლის 27 თებერვლის N49598/17 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობა.
1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ცნობადობის ამაღლების მიზნით, სააგენტოს სოციალურ ქსელებში განსათავსებლად, ვიდეორგოლის მომზადება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 7 670 (შვიდი ათას ექვსას სამოცდათი) ლარს.
3.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ვიდეორგოლის მომზადება დანართი N1-ით განსაზღვრული ტექნიკური აღწერილობის შესაბამისად, არა უგვიანეს 2023 წლის 22 აპრილამდე;
ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

Giorgi Kentchuashvili 01005025574
Digitally signed by Giorgi Kentchuashvili
Date: 2023.03.06 23:44:26

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებისთანავე და უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება არა უგვიანეს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების საზოგადოებასთან სამსახურის უფროსი ანა ფილაური, არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

6. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურეობის მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკის კრედიტი;

დ) ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული მომსახურეობის შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების საფუძველზე;

7.2 მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება მომსახურეობის სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურეობის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 22 მაისის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22 **ხაზინის ერთიანი ანგარიში:** №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 სავალუტო კოდი: 202255407 სკ - 202238621	**შპს „4მედია"** მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ე. ვ. ფიფიების ქ. N5 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი:TBCBGE22 ა/ა GE 74 TB 7921 9360 8010 0003 მომსახურე ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი" ს/კ: 402008019
ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი **ლანა ჯიბლაძე**	დირექტორი **გიორგი კენჭუაშვილი**

დანართი N1

ტექნიკური აღწერილობა

მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ცნობადობის ამაღლების მიზნით სააგენტოს სოციალურ ქსელებში განსანთავსებლად ვიდეორგოლის მომზადება (კომბინირებული: გრაფიკული და გადასაღები ვიდეო რგოლი).

ვიდეო რგოლის ქრონომეტრაჟი - არანაკლებ 1:30 წთ-არაუმეტეს 2:00 წთ.

საბოლოო ვიდეო პროდუქტის სავალდებულო ფორმატი:

1. ინტერნეტ სტანდარტი - H.264_MP4_HD 1080p;

2. ხმის სინქრონული ჩანაწერის მაღალი ხარისხი - 16 bit. 48000hz. ხმის დონე -18db ±3 (დეფექტისა და წუნის გარეშე) (ხმა ჩაწერილი უნდა იყოს რადიო მიკროფონით).

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან კონსულტაციის შემდეგ, კომპანიამ უნდა შეადგინოს ვიდეო სცენარი;
- ვიდეორგოლის გადაღება უნდა მოხდეს რეგიონში, დამტკიცებული სცენარის მიხედვით;
- ვიდეო პროდუქტი უნდა შეიცავდეს დაახლოებით 3-4 ადამიანის მოკლე ინტერვიუს;
- ვიდეორგოლის მიმდინარეობისას გარკვეული კადრები მოითხოვს გრაფიკულ გაფორმებას, რაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს სცენარის გაწერის დროს ან მონტაჟის პროცესში;
- ვიდეორგოლი უნდა იწყებოდეს ე.წ. ,,ქუდით'' და უნდა სრულდებოდეს დამკვეთის მიერ მოწოდებული ლოგოებითა და წარწერებით (გრაფიკულად);
- ვიდეორგოლებში გადასაღები გმირი შეირჩევა დამკვეთის მიერ;
- ვიდეო რგოლის მუსიკალური გაფორმება უნდა უზრუნველყოს დამკვეთმა, საავტორო უფლებების დაცვით.

ტექნიკა (არანაკლებ მითითებული მონაცემებისა):

- ვიდეოკამერა (ცვლადი ობიექტივებით) არანაკლებ FULLHD კამერის კომპლექტი (ობიექტივები, ფილტრები, ფლეიბექი) – 2 ერთეული;
- ობიექტივების კომპლექტი - 1 ერთეული;
- კამერის შტატივი - 2 ერთეული;
- რადიო მიკროფონი - ორი კომპლექტი;
- სამონტაჟო სისტემა დრონი 4K გაფართოების - Adobe ან მსგავსი.

მომსახურების ფარგლებში, კონტრაქტორმა შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უნდა მოამზადოს ვიდეო-რგოლი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მითითებულ მოთხოვნებს:

- სცენარის კონცეფცია უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა, სადაც თვალნათლივ იქნება წარმოჩენილი რგოლის შინაარსობრივი, ვიზუალური და ხმოვანი სახე. ცოცხალი პერსონაჟების მონაწილეობით, კომპიუტერული გრაფიკის და ფერთა კორექციის გამოყენებით. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: მონტაჟი, გრაფიკა, ვიდეო რგოლის მუსიკა, ფერთა კორექტირება. (საბოლოოდ პროდუქტმა უნდა გაიაროს „color correction". 2D Motion-დიზაინი. After effect-პროგრამაში აწყობა).
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ვიდეოს უნდა ჰქონდეს ინგლისური სუბტიტრები;
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ვიდეოს უნდა ჰქონდეს ქართული გახმოვანება.
- ვიდეორგოლს უნდა ერთოდეს სურდო-თარგმანი.
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მომსახურეობა უნდა მოიცავდეს სურდო თარჯიმნის მომსახურებას.
- ვიდეო გადაღება მოხდება როგორც თბილისში, ასევე თბილისს გარეთ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2023 წლის 7 მარტი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ფოტოსესიის მომსახურეობის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „4 მედია"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ლანა ჯიბლაძე

_____

ეკონომიკური დეპარტამენტის
შესყიდვების სამსახურის უფროსი